საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივნისის 28. № 14 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო მმართველობა.

127. „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლისა და მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

128. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

129. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

მრეწველობა.

130. საქართველოს სსრ პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

131. საქართველოს სსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს შორის ღვინო-სპირტის მრეწველობის სფეროში მმართველობისა და ხელმძღვანელობის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

132. საგლეხო სექტორში 1934 წლის მოსავლის თესლეულის კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

133. 1934 წლის მოსავლის ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხოვნების მიხედვით პურის გაცემის ნორმების დიფერენციაციის შესახებ.

ტრანსპორტი.

134. ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისა და საგზაო ტრანსპორტის ორგანოებში სააღრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

135. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველოს შესახებ.

განათლება.

136. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშო სათამაშოების საქმეთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტის შესახებ.

137. „საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტების შესახებ" და „სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაჭერის წესის თაობაზე" გამოცემული დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

138. იმ დოკუმენტების ნუსხის დამტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მმართველობა

127. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლისა და მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 20-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-ი, მუხ. 40) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვადაზე მინდობილობის შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში“.

2. მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 139) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.
ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

128. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 69 მუხლის შენიშვნაში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 48) ამოიშალოს სიტყვა „საცხოვრებელი“.

2. 258 მუხლში სიტყვა „სახალხო“ შეიცვალოს სიტყვად „სახელმწიფო“.

3 424 მუხლის პირველ ნაწილში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-ი, მუხ. 77): ამოიშალოს სიტყვა „სახალხო“, ხოლო სიტყვები: „ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს“ შეიცვალოს სიტყვებად: „სასოფლო საბჭოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 69 მუხლის შენიშვნის დანართში „მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 57):

სათაურიდან ამოიშალოს სიტყვა „საცხოვრებელი“;

მე-6 მუხლში მინიშნება, „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII თავში“ შეიცვალოს მინიშნებად: „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXV თავში (1931 წლის რედაქციით)“.

5. 171 მუხლის დანართის—დებულება დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ—მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-ი, მუხ. 143) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახლის სამოურაო (სახლის პატრონი) მოვალეა ჩაწეროს დროებითი მდგმური ჩაწერისათვის დადგენილი წესით“.

6. 117 მუხლის ქართულ ტექსტში სიტყვა „გამორჩენა“ შეიცვალოს სიტყვად „სარგებლობა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ივნისის 5.

ტფილისი.

---

129. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილის (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 16, მუხ. 171) ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„კერძო პირებს—ფიზიკურსა და იურიდიულს—დიდი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად, რომელთა მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, მიწები მიეცემათ ვადით: 80 წლამდე—ქვის (აგურის), რკინა-ბეტონის და შერეული შენობისათვის და 60 წლამდე—ხის შენობისათვის“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ივნისის 5.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობა

130. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ პოლიგრაფიული მრეწველობის საბმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ“ მიღებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის აპრილის 2-ის დადგენილების დასამატებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაუქმებული პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტის შედგენილობაში შემავალი საწარმონი გადაეცეს უსასყიდლოდ 1934 წ. აპრილის 1-ლის ბალანსის აქტივით და პასივით:

ა) მესამე სტამბა—პარტგამომცემლობას;

ბ) პოლიგრაფიული სკოლა, ლიტოგრაფია და მეორე სტამბა—სახელმწიფო გამომცემლობას „სახელგამს“;

გ) პირველი სტამბა—საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამომცემლობას „ტექნიკა და შრომას“;

დ) ასოთჩამომსხმელი—გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობას.

2. ქ. ტფილისში გაერთიანებული სტამბის მშენებლობა, რომელსაც ანხორციელებს ზემოაღნიშნული ტრესტი, გადაეცეს გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობას.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გარდაანაწილოს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად, პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა კაპიტალდაბანდებანი და საბრუნავი სახსარი სახელმწიფო ბიუჯეტით და საკუთარი სახსრიდან, რაც გათვალისწინებულია გაუქმებული ტრესტის გეგმით, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა შორის;

ბ) ჩამოართვას და წარმართოს დანიშნულებისამებრ პოლიგრაფიული მრეწველობის გაუქმებული ტრესტის შედგენილობაში შემავალ საწარმოთა გეგმებით გათვალისწინებული სახსარი (საკუთარი დაგროვებანი, საამორტიზაციო ფონდები) გაერთიანებული სტამბის (მუხ. 2) მშენებლობისათვის.

4. პოლიგრაფიული მრეწველობის დაგეგმვა და მოწესრიგება, ქვემდებარეობის დამოუკიდებლად, და აგრეთვე პოლიგრაფიული მრეწველობის საწარ-

მოთა მომარაგება (მასალით და გაწყობილობით) დაეკისროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. მაისის 7.

ტფილისი.

---

131. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს შორის ღვინო-სპირტის მრეწველობის სფეროში მმართველობისა და ხელმძღვანელობის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში ღვინო-სპირტის მრეწველობის ერთიანი დაგეგმვისა და მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ღვინო-სპირტის მრეწველობის დაგეგმვა და მოწესრიგება, აგრეთვე ამ მრეწველობის დამხმარე მასალებით მომარაგება (სპირტი, შაქარი და სხვ. მისთ.) დაეკისროს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ღვინო-სპირტის მრეწველობის საწარმოთათვის (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი „უნიონი", სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საწარმონი, გლეხური გადამუშავება), აგრეთვე ყველა სისტემის საწარმოში ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საწარმოო-ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

132. დადგენილება ს.კ.ს.

საგლეხო სექტორში 1934 წლის მოსავლის თესლეულის კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.

1. „სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდისათვის 1934 წლის მოსავლის საბოსტნე და ოთხფეხი საქონლის საკვები კულტურების თესლეულის დამზადებისა და კონტრაქტაციის შესახებ" შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წ. თებერვლის 23-ის დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულ იქნეს „საქმეთესლე-

ობის“ ხაზით 1934 წლის მოსავლის ახალზეთოვანი, საბოსტნე-საბალჩე, ბალახეული და ბოლქვნარი კულტურების თესლეულის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 10.010 ცენტნერის რაოდენობით (სათესლე სესხის ჩაუთვლელად), წინაალმდეგ „სოიუზსემენოვოდის“ მიერ მიწოდებული გეგმისა 6.944 ცენტნერის რაოდენობით; აგრეთვე დამტკიცებულ იქნეს 1935 წლისათვის მრავალწლოვანი კულტურების ფართობთა კონტრაქტაციის გეგმა 372 ჰექტარის რაოდენობით (იხ. დანართი—ფართობთა განაწილება).

ა ქ ე დ ა ნ:

1) ახალზეთოვანი: სოია	2.450 ც.
არახისი	1.800 ც.
	4.250 ც.
2) საკვები ფესვნარი	17,3 ც.
3) მრავალწლიანი ბალახი	244,0 ც.
4) ერთწლიანი ბალახი	4.180 ც.
5) ორწლიანი ბოსტნეული	315,2 ც.
6) ერთწლიანი საბოსტნე-საბალჩე კულტურები . . .	1.003,5 ც.
ს უ ლ	10.010 ც.

2. „საქმეთესლეობის“ დამზადების გეგმის საერთო გადიდება 2.316 ცენტნერის რაოდენობით განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) საკვები ფესვნარების თესლის დამზადების გადიდება—17 ცენტნერით, მრავალწლიანი ბალახისა—4 ცენტნერით და ერთწლიანი საბოსტნე-საბალჩე კულტურებისა—454,5 ცენტნერით, არსებული 1934 წლის გაზაფხულის ნათესი ფართობებისა და ერთ ჰექტარზე დამტკიცებული ჩაბარების ნორმების მიხედვით;

ბ) ერთწლიანი ბალახეულის თესლის დამზადების გადიდება—1.880 ცენტნერით, რადგანაც გაზაფხულის ცერცველას (ვიკა), წვრილმარცვლოვანი ოსპის და ბარდის თესლი შეტანილი არ არის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მარცვლოვანი კულტურების ნომენკლატურაში, მაშასადამე, ამ თესლეულის ჩაბარება სახელმწიფოსათვის სავალდებულო არ არის და იგი დამზადებულ უნდა იქნეს კონტრაქტაციის წესით მარტოოდენ თესლად;

გ) შემოდგომის ცერცველას თესლის დამზადების შემცირება—260 ცენტნერით და ორწლიანი საბოსტნე კულტურების თესლისა—38,8 ცენტნერით, რადგანაც სათესლედ დატოვებული ბალახების დამტკიცებული შემოდგომის ცერცველას ფართობი განსაზღვრულია 210 ჰექტარით და რადგანაც ორწლიანი საბოსტნე კულტურების ერთწელიწადში მოყვანა ახალი საქმეა და სარგავი მასალის შესაძლებელ დაღუპვასთან დაკავშირებული.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ლიტერის შესაბამისად ცნობილ იქნეს, რომ გაზაფხულის ცერცველას, წვრილმარცვლოვანი ოსპის და ბარდის მთესველნი განთავისუფლებულ არიან იმ სათესლე მასალის დაბრუნებისაგან, რაც მათ მიიღეს 1934 წელს ანგარიშის ნაღდი გასწორებით.

4. წინადადება მიეცეს „საქმეთესლეობას"—ჩაატაროს ნათესებისა, სათესლედ დატოვებული ბალახებისა და გადანარგავების მდგომარეობის შემოწმება და აპრობაცია და დაუყოვნებლივ, აპრობაციის დამთავრებისთანავე, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამისი შედეგი კულტურების ჯგუფების მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—მოახდინოს სათანადო განკარგულება დამზადებათა რწმუნებულების მიმართ ადგილებზე—არ მიუშვან სხვა დამმზადებელნი (გარდა „საქმეთესლეობისა") მეთესლეობის ფართობებზე და, დამმზადებლებზე დამზადებათა განაწილების დროს, მტკიცედ აღრიცხონ და გამოყონ მეთესლეობისათვის განკუთვნილი ნათესები.

6. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას უზრუნველყონ სათესლეების დაფინანსება გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტების ხაზით დამტკიცებული მეთესლეობის ნორმატივების საფუძველზე და აგრეთვე უზრუნველყონ „საქმეთესლეობა" საჭირო კრედიტით სადამზადებლო ოპერაციებისათვის კულტურების ხარისხოვან სათესლე მასალაზე 1934 წელს დამტკიცებული სადამზადებლო ფასების მიხედვით.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას—უზრუნველყონ რეპროდუცენტებამდე „საქმეთესლეობის" განწესებით მისაწოდებელი კრედიტების თავის დროზე მიწვდევინება.

ორწლიანი კულტურების წარმოების გეგმის გადიდების გამო აღიძრას შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დამატებითი გრძელვადიანი კრედიტის გაცემის შესახებ 148,750 მან. რაოდენობით.

7. დამტკიცებულ იქნეს მეთესლეობისათვის განკუთვნილი ნათესებისა და საბოსტნე კულტურებისა, ბალახეულისა და ფესვნარების თესლის დამზადების საქმის დასაქონლება სასურსათო პურით, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 854 და 855 №-ის დადგენილებებისა, 170 ტონას რაოდენობით და აღიძრას სასწრაფო წესით შუამდგომლობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე პურის დამატებითი კონტინგენტის გაცემის შესახებ 123,4 ტონას რაოდენობით იმ საბოსტნე და საკვები კულტურების თესლის წარმოებისა და დამზადების სტიმულირებისათვის, რაც სსრ კავშირის ნომენკლატურაში არ შედის, ვინაიდან ეს კულტურები საქართველოში დეფიციტიანია, და რადგანაც 1932 და 1933 წლებში ეს კულტურები შედიოდა პურით დასაქონლებაში, აგრეთვე იმის გამო, რომ საბოსტნე და საკვები კულტურების თესლის დამზადების გეგმა გადიდებულია „სოიუზსემენოვოდის" მიერ მიწოდებულ გეგმასთან შედარებით (საბოსტნე და საკვები კულტურებისათვის საჭიროა 293,4 ტონა, გაცემულია 170 ტონა, დამატებით საჭიროა 123,4 ტონა).

8. დამტკიცებულ იქნეს სამრეწველო საქონლის მიცემა ცენტრალიზებული წესით საკვები და საბოსტნე კულტურების თესლის რეპროდუცენტ-ჩამბარებლებისათვის მე-III და IV კვარტალში, ჩასაბარებელი თესლის ღირებულების 30%-ის რაოდენობით, თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წლის მარტის 19-ის თარიღის და 323 №-ის დადგენილებისა „საბოსტნე და საკვები კულტურების თესლის დამზადების სტიმულირების შესახებ", მრეწველობის ფასების მიხედვით, სულ 484.499 მან. და 50 კაპ. რაოდენობით.

წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს—უზრუნველყოს მეთესლეობის რაიონები, „საქმეთესლეობის" განაცხადის მიხედვით, მე-III და IV კვარტალში, საჭირო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით და დააბრონიროს ეს საქონელი 20 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც „საქმეთესლეობის" კონტორას სარაიონო სამომხმარებლო კოოპერაცია აცნობებს სამრეწველო საქონლის მოსვლას, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული, 1934 წ. მარტის 19-ის, დადგენილების თანახმად.

9. განსაზღვრულ იქნეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით თესლის ჩაბარების ზღვრული ვადები:

სოიასი	1934 წ.	დეკემბრის	15
არახისისა	„	„	1
შემოდგომის ცერცველასი და ოინჯისა	„	„	1
სამყურა (კლეევერ) ბალახისა .	„	„	1
ბოსტნეულის და სხვა ბალახეულისა	„	„	1

წინადადება მიეცეს „საქმეთესლეობას" დაადიფერენციროს თესლის ჩაბარების ვადები მეთესლეობის რაიონებზე და მიაწოდოს რაიონებს ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების სამუშაოთა გეგმასთან ერთად.

10. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ცეკავშირს" მოახდინონ განკარგულება თავიანთი ადგილობრივი ფილიალების მიმართ—ნიშანდობლივ განსაზღვრონ მეთესლეობისათვის გამოყოფილი სასურსათო და სამრეწველო საქონელი იმ ფონდებიდან, რაც გამოყოფილია სხვა სახის დამზადებათათვის.

11. წინადადება მიეცეს „საქმეთესლეობას" დამატებით დააკონტრაქტოს სათესლეების ფართობები, რაც „სოიუზსემენოვოდის" გეგმას აკლია, 155 ჰექტარის რაოდენობით (527—372) 1934 წ. საშემოდგომო კამპანიის დროს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 20.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

1934-1935 წლის სახელმწიფოს თესლის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა (ბლეხურ ხექტორში) საქ. მეთესლეობის ხაზით.

კულტურების დასახელება	ნათეს ფართ-ის გეგმა ჰექტ.		საქმეთესლ. დამზად. გეგმა ცენტნერებ.	საკავშირო მეთესლ. მიერ დამზადებ. გეგმა		მეტი	ნაკლები	მრავ. წლ. კულტ. დაკონტრ. გეგმა 1935 წ.	
	1934 წ. გაზაფ.	1933 წ. შემოდგ.		ცენტნ.	ჰექტ.	ც.	ც.	საქმეთეს.	მოსკოვი
I. ახალ-ზეთოვანი									
1. სოია	900	—	4250	2000	800	450	—	—	—
2. არაბისი	525	—	1800	1500	500	300	—	—	—
სულ	1425	—	4250	3500	1300	750	—	—	—
II. საკვ. ძირნაყ.									
1. ჭარხალი საკვები	—	7,5	8	—	—	8,0	—	10	—
2. სტაფილო სუფრის	—	7,0	9	—	—	9,0	—	2	—
3. კომბოსტო საჭმ.	—	0,4	0,3	1	1	—	0,7	—	5
სულ საკვ. ფესვნ.	—	14,9	17,3	1	1	17	0,7	12	5
III. მრავალწლოვ. ბალ.									
1. კოლინდარი	—	—	—	—	—	—	—	—	10
2. იონჯა	—	117	40,0	40	117	—	—	165	200
3. სამყურა	—	61	4,0	—	—	4	—	—	—
4. ესპარცეტი	—	280,5	200,0	200	100	—	—	100	150
სულ მრავაწლ. ბალახ.	—	458,5	244,0	240	217	4	—	265	360
IV. ერთწლ. ბალახები									
1. ვიკა გაზაფხულის	600	—	960	900	600	60	—	—	—
2. ვიკა შემოდგომის	—	210	340	600	400	—	260	—	—
3. უგრეხელა	1000	—	1600	800	1000	2080	—	—	—
4. ბარდა	800	—	1280	—	900	—	—	—	—
სულ ერთწლიანი ბალ.	2400	210	4180	2300	2900	2140	260	—	—

კულტურების დასახელება	ნათეს ფართ-ის გეგმა ჰექტ. 1934 წ. გახაფ.	ნათეს ფართ-ის გეგმა ჰექტ. 1933 წ. შემოდგ.	საქმეთესლ. დამზად. გეგმა ცენტნერებ.	საკავშირო მეთესლ. მიერ დამზადებ. გეგმა ცენტნ.	საკავშირო მეთესლ. მიერ დამზადებ. გეგმა ჰექტ.	მეტი ც.	ნაკლები ც.	მრავ. წლ. კულტ. დაკონტრ. გეგმა 1935 წ. საქმეთეს.	მრავ. წლ. კულტ. დაკონტრ. გეგმა 1935 წ. მოსკოვი
V. ორწლ. ბოსტნეული									
1. სტაფილო სუფრის	—	12	16	15	10	11,0	—	18	20
2. ჭარხალი სუფრის	—	8,15	21	12	10	9,0	—	2	—
3. ნიახური	—	0,5	1	—	—	1	—	1,5	2
4. ოხრახუში	—	1,3	2	—	—	2	—	2	2
5. ხახვი (თესლ.)	—	17,0	15	30	40	—	15	47,5	40
6. ნიორი	—	7,15	175	200	10	—	25	—	—
7. პრასა	—	2,4	3	2	2	1	—	5	8
8. ჩინური ბოლოკი	—	12,3	27	13	16	17	—	—	—
9. კომბოსტო თავიანი	—	55,1	55	85	70	—	30	19	85
10. კომბოსტო ყვავ.	—	0,75	0,2	—	—	0,2	—	—	5
სულ ორწლ. ბოსტნ.	—	116,65	315,2	354,0	158	31,2	70	95	162
VI. ერთწლიანი ბოსტ.-ბაღჩა									
1. ლობიო	341	—	793	375	250	418	—	—	—
2. მუხუდო	70	—	100	60	50	40	—	—	—
3. ბოლოკი თვის	15	2	20	36	30	—	16	—	—
4. სალათა	2	—	2	6	5	—	4	—	—
5. ისპანახი	8	7,8	23	23	20	—	—	—	—
6. კიტრი	33	—	30	20	25	10	—	—	—
7. პამიდორი	3	—	1,5	—	—	1,5	—	—	—
8. ბადრიჯანი	2	—	1,0	—	—	1,0	—	—	—
9. წიწაკა	1	—	0,5	—	—	0,5	—	—	—
10. ბერძნული გოგრა	1	—	1,0	—	—	1,0	—	—	—
11. სახამთო	23	—	20	20	20	—	—	—	—
12. ნესვი	5	—	4	4	5	—	—	—	—
13. გოგრა სუფრის	5	—	7,5	5	5	2,5	—	—	—
სულ ბოსტ. კულტ.	508	9,8	1003,5	549	410	474,5	20	—	—
ს უ. ლ	4334 / 5143,85	809,85	10010,0	6944,0	4986	3416,7	350,7	372	527

1934-1935 წ. 10.010 ც. ხახვიშფონდში თესლის დამზადების გეგმის განაწილება რაიონებზე.

	ტფილისი	თელავი	ყვარელი	სიღნაღი	ფოთი	სტალინისი	ახალქალაქი	ქიათურა	ქუთაისი	ამბროლაური	ახაშა	სენაკი	ზუგდიდი	ოფუხაზეთი	საქმრეთ ოსეთი	ს უ ლ
1. სოია	—	—	—	—	—	—	—	270	810	—	—	—	1370	—	—	2450
2. არახისი	—	—	—	—	—	—	—	—	300	—	225	455	820	—	—	1800
3. ჭარხალი საკვები . . .	—	2,0	—	—	—	2,6	—	—	—	—	—	—	0,8	—	2,6	8,0
4. სტაფილო საკვები . .	—	—	—	—	4,0	—	—	—	—	—	—	—	5,0	—	—	9,0
5. კომბოსტო საკვები . .	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,3	—	—	0,3
6. იონჯა	—	35	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	40
7. სამყურა	—	—	—	—	2,6	0,68	—	—	—	—	—	—	—	—	0,72	4,0
8. ესპარცეტი	—	—	—	—	—	39	148	—	—	—	—	—	—	—	1,3	200
9. ვიკა გაზაფხულის . .	—	—	—	—	—	—	960	—	—	—	—	—	—	—	—	960
10. „ შემოდგომის . . .	—	—	—	—	—	—	340	—	—	—	—	—	—	—	—	340
11. უგრეხელა	—	—	—	—	—	—	1600	—	—	—	—	—	—	—	—	1600
12. ბობლა საკვები . . .	—	—	—	—	—	—	1280	—	—	—	—	—	—	—	—	1280
13. სტაფილო საკვები . .	0,8	—	—	—	8,4	2,4	—	—	2,8	—	—	—	1,6	—	—	1[illegible],0
14 ჭარხალი სუფრისა . .	1,5	—	—	—	9	5,5	—	—	2,0	3,0	—	—	—	—	—	21,0
15. ნიახური	—	—	—	—	1,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1,0
16. ოხრახუში	0,4	—	—	—	—	—	—	—	1,6	—	—	—	—	—	—	2,0
17. ხახვი-სათესლე . . .	0,53	2,3	0,5	—	8,75	0,22	—	—	2,7	—	—	—	—	—	—	15,0
18. ნიორი	—	62,5	112,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	175

დანართი 2 (გაგრძელება)

	ტფილისი	თელავი	ყვარელი	სიღნაღი	გორი	სტალინისი	ახალქალაქი	ჭიათურა	ქუთაისი	ამბროლაური	აბაშა	სენაკი	ზუგდიდი	ოფხაზეთი	სამხრეთ ოსეთი	ს უ ლ
19. პრასა	—	—	—	—	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	3
20. ჩინური ბოლოკი . . .	6	—	4	—	8	—	—	—	9	—	—	—	—	—	—	27
21. კომბოსტო	—	—	—	—	6	2	—	—	2	—	—	—	—	45	—	55,0
22. კომბოსტო ყვავილ. . .	—	—	—	—	—	—	—	—	0,2	—	—	—	—	—	—	0,2
23. ლობიო	27	96	48	—	—	—	—	—	—	345	115	92	70	—	—	793
24. მუხუდო ტკბილი . . .	—	—	—	—	—	—	50	—	—	—	—	—	—	50	—	100
25. ბოლოკი თვიური . .	5	—	—	—	3,5	—	—	—	8	—	—	—	—	—	3,5	20
26. სალათა	—	—	—	—	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	—	2
27. ისპანახი	2	6	—	—	5	3	—	—	7	—	—	—	—	—	—	23
28. კიტრი	13,65	—	2,7	—	5,5	—	—	—	4,55	1,8	—	—	1,8	—	—	30
29. ბადრიჯანი	—	—	—	—	—	—	—	—	1,5	—	—	—	—	—	—	1,5
30. პამიდორი	—	—	—	—	—	—	—	—	1,0	—	—	—	—	—	—	1,0
31. წიწაკა	—	—	—	—	—	—	—	—	0,5	—	—	—	—	—	—	0,5
32. ბერძნული გოგრა . .	—	—	—	—	—	—	—	—	1,0	—	—	—	—	—	—	1,0
33. საზამთრო	—	7	8	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	—	—	20
34. ნესვი	—	0,8	0,8	—	—	—	—	—	2,4	—	—	—	—	—	—	4,0
35. გოგრა	—	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1,5	—	—	7,5
ს უ ლ . . .	56,88	217,60	176,5	5,0	61,75	55,40	4.378,0	270	1.166,25	349,80	340	547	2.271,0	95,0	19,82	10010

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 3.

1934-1935 წ. პურის მოთხოვნილება თესლის დამზადების მიზნით

კულტურები	დამზად. ცენტნ.	პურის ნორმა ერთ ცენტ.-ზე	პურის მოთხოვნა ცენტნ.
1. სოია	2450	—	—
მათ შორის კოლმეურნ.	1830	25 კგრ.	455 } 579
ერთპიროვნ. მეურნ.	620	20 „	124 }
2. არახისი	1800		
მათ შორის კოლმეურნ.	1620	30 „	486 } 531
ერთპ. მეურნ.	180	25 „	54 }
			1.100
3. მიწის ვაშლი	150	10 „	15
4. ჭარხალი სუფრის	8	0,5 „	4
5. კომბოსტო საკვებ.	0,3	4 „	1,2
6. სტაფილო საკვ.	9	1 „	9
7. იონჯა	40	2 „	80
8. სამყურა	4	1 „	4
9. ესპარცეტი	200	1 „	200
10. ვიკა გაზაფხულის	960	0,25 „	240
11. ვიკა შემოდგომის	340	0,5 „	170
12. უგრეხელა	1600	0,1 „	160
13. ბარდა საკვები	1280	0,1 „	128
14. სტაფილო	16	1,5 „	24
15. ჭარხალი	21	1,0 „	21
16. ნიახური	1	1,0 "	1
17. ოხრახუში	2	1,5 „	3
18. ხახვი (თესლი)	15	2,5 „	37,5
19. პრასი	3	2,5 „	7,5
20. ჩინური ბოლოკი	27	1,5 „	40,5
21. კომბოსტო № 1	47	8 „	376
22. კომბოსტო საგვიანო	8	4 „	32
23. კომბოსტო ყვავ.	0,2	12 „	2,4
24. ნიორი	175	0,4 „	70
25. ლობიო	793	0,4 „	317,2
26. მუხუდო ტკბილი	100	1,5 „	40
27. ბოლოკი თვის	20	1,5 „	30
28. სალათა	2	1,0 „	2
29. ისპანახი	23	1,0 „	23
30. კიტრი	30	1,5 „	45
31. ბერძნული გოგრა	1	0,4 „	0,4
32. საზამთრო	20	1,0 „	20
33. ნესვი	4	1 „	4
34. გოგრა სუფრის	7,5	1 »	7,5
			2.115,2 ც.
სულ	10.157,00		3.225,2 ც.

პურის მოთხოვნილება 1934 წ. საშემოდგომო ნათესებზე და გადახარგვ. კულტურებზე (1934 წ. გაზაფხ. ნათესებიდან).

კ ულ ტ ურ ე ბ ი	ფართობი ჰექტ.	ნერგის რაოდ. ათას ცალ.	პურის ნორმა კგ.	სჭირდება პური ცენტნ.
ნ ე რ გ ე ბ ზ ე				
1. ჭარხალი საკვები	10	35	1	0,35
2. სტაფილო საკვ.	2	70	2	1,40
3. სტაფილო სუფრის	18	1476	4	59,04
4. ჭარხალი სუფრის	2	94	2	1,88
5. ხახვი	53	378	1,5 ც.	567,0
6. პრასა	5	500	8	40,00
7. კომბოსტო საგვ.	19	247	6	14,82
ს უ ლ	109	—	—	684,49
1934 წ. საშემოდგომო ნათესები				
1. კომბოსტო № 1	70	9100	6 (ათ. ც)	54,60
2. კომბოსტო ყვავ.	5	65	6	3,90
3. კომბოსტო საკვები	10	130	6	7,80
4. სტაფილო სუფრის	15	1230	4	49,20
5. ჭარხალი სუფრის	5	235	2	4,70
6. ჩინური ბოლოკი	15	660	2 კგ.	13,20
	120 ჰკტ.	—	—	133,4
ს უ ლ	—	—	—	4.043,03
აფხ-ზეთ. კულტ. გარდა . .	—	—	—	1.110,00
ს უ ლ	—	—	—	2.933,09

55,40 4.

დანართი 4

1934-1935 წ. დამზადებულ თესლის 30%-იან დასაქონლება.

კულტურები	დამზად. ცენ.	დამზად. ფასი ც. ფულ. (მან.)	თესლის ღირებულ. მან.	30% და საქ. სამ-რეწველო საქონლით
1. მიწავაშლა	150	15	2.250	675
2. ჭარხალი საკვებ.	8	180	1.440	432
3. სტაფილო საკვებ.	9	600	5.400	1.620
4. კომბოსტო საკვებ.	0,3	1200	360	108
5. იონჯა	40	300	12.000	3.600
6. სამყურა	4	300	1.200	300
7. ესპარცეტი	200	100	20.000	6.000
8. ვიკა გაზაფხ.	960	14	13.440	4.032
9. ვიკა შემ.	340	100	34.000	10.200
10. უგრეხელა	1000	18	28.800	8.640
11. ბარდა	1280	14	17.920	5.376
12. სტაფილო სუფრ.	16	800	10.800	3.240
13. ჭარხალი სუფრ.	21	275	5.775	1.732,50
14. ნიახური	1	800	800	240
15. ოხრახუში	2	420	840	252
16. ხახვი	15	4000	60.000	18.000
17. ხახვი სადედე	285	200	57.000	17.100
18. პრასა	30	2200	6.000	1.980
19. ჩინური ბოლოკი	27	2000	54.000	16.200
20. კომბოსტო № 1	47	5000	235.000	70.500
21. კომბოსტო სუფ.	8	3000	24.000	7.200
22. კომბ. ყვავ.	0,20	20000	4.000	1.200
23. ნიორი	175	100	17.500	5 250
24. ლობიო	793	140	111.020	33.306
25. მუხუდო ტკბილი	130	120	15.600	4.680
26. ბოლოკი თვის	20,0	400	8.000	2.400
27. სალათა	2,0	360	720	216
28. ისპანახი	23,0	240	3.530	1.656
29. კიტრი	30	2000	60.000	18.000
30. პამიდორი	1,5	1300	1.950	585
31. ბადრიჯანი	1,0	1100	1.100	330
32. წიწაკა	0,5	900	430	135
33. ბერძნული გოგრა	1,0	180	180	54
34. საზამთრო	20	375	7.500	2.250
35. ნესვი	4	300	1.200	360
36. გოგრა სუფ.	7,5	240	1.800	540
სულ	6.225,0	—	828,165	248,419-50

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა	დამზადება ცენტნ.	დამამზ. ფასი 1 ც. მან.	ლირებ. მანეთ.	შენიშვნა
სოია	2450 ც.	17	41.650 მ.	სოიაზე და არა-
არახისი	1800 ც.	108	194.400 მ.	ხისზე 100%
			236.050 მ.	დასაქონლება

ბოსტნეულისა და ბალახეულის თესლის დამზადებათა დასაქონლების სამრეწველო საქონლის ასორტიმენტი.

(შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წ. მარტის 10 თარიღის და 383 №-ის დადგენილების თანახმად).

1. ბაშბის ქსოვილი	50%	124.224—75
2. თავსაფარი	7%	17.391—47
3. მატყლის ქსოვილი	10%	24.644—95
4. ძაფი	3%	7.453—49
5. საპონი	8%	19.875—26
6. მახორკა	9%	29.360—45
7. გალოშები	3%	7.453—48
8. ფეხსაცმელები	10%	24.844—95
ს უ ლ	100%	248.449—30

სულ სამრეწველო საქონელი მან. — 484.439—50

ვაჭრობა. მომარაგება

133. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წლის მოსავლის ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხოვნების მიხედვით პურის გაცემის ნორმების დიფერენციაციის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1934 წ. აპრილის 20-ის თარიღისა და 1327 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, მოსავლის შემდეგ თამბაქოს წესიერი დამუშავებისა და მაღალხარისხოვანი გამოსავლიანობის სტიმულირებისათვის, ადგენს:

1. სექტორებზე პურის გაცემის ნორმები, რაც დადგენილია საქართველოს რაიონებისათვის (უაფხაზეთოდ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. მარტის 5-ის დადგენილებით „თამბაქოს დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ (მე-11 მუხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიფერენცირებულ იქნეს ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხების მიხედვით აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ასორტიმენტის კვალობაზე (მე 4 მუხ.).

2. დამტკიცებულ იქნეს რაიონებზე პურის გაცემის შემდეგი ხარისხობრივი პროცენტული ნორმები (საშუალო ნორმასთან შეფარდებით):

რაიონები	I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი	ბრაკი
1. გურჯაანის რაიონი	300	200	100	40
2. ყვარლის „	200	150	100	40
3. ლაგოდეხის „	143	113	100	35
4. სიღნაღის „	135	110	100	27
5. ბორჩალოს „	300	200	100	40
6. ჩხოროწყუს „	130	115	100	24
7. ზუგდიდის „	125	110	100	22
8. წალენჯიხის „	130	113	100	22
9. ჩოხატაურის „	140	113	100	25
10. აჭარისტანის ავტ. სსრ	124	109	100	22

წინადადება მიეცეს „საქთამბაქნედლეულს“,—სექტორებზე პურის გაცემის დადგენილი ნორმებისა და ზემოაღნიშნული ხარისხობითი პროცენტული ნორმების მიხედვით,—გამოიანგარიშოს აბსოლუტური ხარისხობითი ნორმები და ერთი დეკადის ვადაზე მიაწვდინოს ეს ნორმები კოლექტიურ მეურნეობებამდე, კოლმეურნეებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დაადიფერენციროს ერთი დეკადის ვადაზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 25-ის თარიღისა და 1042 №-ის დადგენილებით (მე-5 მუხ.) დაწესებული პურის გაცემის ნორმები რაიონებსა და სექტორებზე კოლექტიურ მეურნეობებამდე, კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე მიწვდენით.

4. აშლაკისა, ფარმატურისა და მწვანე ფილიჩების ჩაბარების დროს მათი დასაქონლება პურით უნდა სწარმოებდეს ბრაკისათვის დადგენილი ნორმებით, ხოლო ყვითელი ფილიჩებისა—დაბალი ხარისხის ნორმებით. გაზელი პურით დასაქონლებული არ უნდა იქნეს.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 23.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტი

134. დადგენილება ს. კ. ს.

ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისა და საგზაო ტრანსპორტის ორგანოებში საალრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს, რომელსაც აქვს ჭაპანზიდვის ტრანსპორტი საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, რა რაოდენობისაც უნდა იყოს ეს ტრანსპორტი, წარუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს:

ა) ცნობები ჭაპანზიდვის საწევი ძალის მდგომარეობის შესახებ პირველი იანვრისათვის—არა უგვიანეს სათანადო წლის ივნისის 1-ისა და პირველი ივლისისათვის—არა უგვიანეს აგვისტოს 1-ისა;

ბ) კვარტალური ანგარიშები არა ნაკლებ, ვიდრე 20 ცხენისაგან შემდგარი პარკის მუშაობის შესახებ—არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარმოებული საჭაპანზიდვო ტრანსპორტის აღრიცხვა არა ვრცელდება საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კუთვნილ ჭაპანზიდვის ტრანსპორტზე.

ხოლო, საჭაპანზიდვო გადაზიდვათა ხარჯების ნორმებისა და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მუშაობის თვითღირებულების გამოკვლევის მიზნით, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფლება აქვს მოახდინოს ზემოაღნიშნულ მეურნეობათა ჭაპანზიდვის ტრანსპორტის გამოკვლევა.

3. რათა ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მქონე ორგანიზაციები გაეცნონ საალრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენის წესს, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—გამოაქვეყნოს ერთი დეკადის ვადაზე ჭაპანზიდვის ტრანსპორტის აღრიცხვის და ანგარიშგების ფორმები და ინსტრუქცია ამ ცნობების შედგენის შესახებ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—წარუდგინოს სისტემატურად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, არა უგვი-

ანეს მე-8 დღისა საანგარიშო კვარტალის გასვლისას, ჭაპანზიდვის ტრანსპორტის მუშაობის ჯუმლობითი ცნობები.

5. არასწორე სააღრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმების და ვადების დარღვევისათვის საჭაპანზიდვო ტრანსპორტის მქონე ორგანიზაციების ხელმძღვანელნი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „არასწორე სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმების და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 34).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—დააწესოს პერიოდული კონტროლი ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

135. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს და დაწესებულებას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ანხორციელებს მშენებლობას:

ა) მიაწოდოს ორი დეკადის ვადაზე სამშენებლო კონტროლის ცენტრალურ სამმართველოს წერილობითი ინფორმაცია იმ წესის შესახებ, რასაც ეს კომისარიატები და დაწესებულებები უფარდებენ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაავალონ თავიანთი სამუშაოების უფროსებს და სამუშაოთა მწარმოებლებს—იქონიონ საშენებელთა ადგილას დამტკიცებული პროექტები, სამუშაოთა ნახაზები, ხარჯთაღრიცხვები, მუშაობის ორგანიზაციის პროექტები და სხვა სამშენებლო დოკუმენტები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ყოველგვარი მშენებლობისათვის სამშენებლო კონტროლის გასაწევად, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ეწყობა სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველო შემდეგი სექტორებით:

ა) აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და აფხაზეთის ავტ. სსრ-ის კომუნალური მეურნეობის ცენტრალურ ორგანოებთან;

ბ) ტფილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმთან;

გ) ქუთაისის საქალაქო საბჭოს კომუნალურ განყოფილებასთან;

2. წინა მუხლში აღნიშნული სექტორები ექვემდებარებიან და ანგარიშვალდებულ არიან სამშენებლო კონტროლის მთავარი სამმართველოს წინაშე, აგრეთვე იმ ორგანოების წინაშე, რომლებთანაც ისინი არსებობენ.

3. სამშენებლო კონტროლის ცენტრალური სამმართველო კონტროლს უწევს ყოველგვარ მშენებლობას და კაპიტალურ რემონტს, ხელქვეითობის დამოუკიდებლად, იმის თაობაზე:

ა) არსებობს თუ არა შესაფერ ორგანოებთან სათანადოდ შეთანხმებული და სათანადოდ დამტკიცებული პროექტი;

ბ) ირიცხება თუ არა სამშენებლო ობიექტი სათანადოდ დამტკიცებულ სატიტულო სიებში;

გ) დაცულია თუ არა დაგეგმვისა, აღნაგობისა, არქიტექტურული გაფორმებისა, სასანიტარო დაცვისა, სახანძრო და საზოგადოებრივი უშიშროების წესები.

4. არასამრეწველო მშენებლობის მიმართ კონტროლი განხორციელდება აგრეთვე იმის თაობაზე:

ა) განმზადებულია თუ არა საშენებელი მშენებლობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) არსებობს თუ არა სამუშაოთა ნახაზები, საწარმოო ხარჯთაღრიცხვა და მუშაობის ორგანიზაციის პროექტი, და შეეფერება თუ არა ყოველივე ეს დამტკიცებული პროექტების მოთხოვნათ და მითითებათ;

გ) რაციონალურია თუ არა ტექნუკირად და ეკონომიურად მუშაობის ორგანიზაცია და წარმოება;

დ) სრულდება თუ არა დადგენილი ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიური ნორმები:

ე) დაცულია თუ არა დეფიციტიანი მასალების გამოყენების წესები და საშენ მასალაზე, ტრანსპორტზე და მუშაძალაზე დადგენილი ფასები;

ვ) როგორია მუშებისა და საინჟენერო-სატექნიკო მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა;

ზ) დაცულია თუ არა მომქმედი სამშენებლო კანონმდებლობა.

5. აღნიშნული ფუნქციების განხორციელების დროს სამშენებლო კონტროლის ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) მივიდნენ და დაათვალიერონ ყოველგვარი სამშენებლო სამუშაო;

ბ) მოითხოვონ საჭირო ცნობები და აგრეთვე გასინჯონ პროექტები და სხვა სამშენებლო დოკუმენტები;

გ) უშუალოდ ან მილიციის ორგანოების მეშვეობით გასცენ განკარგულება სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სათანადოდ დამტკიცებული პროექტი, როდესაც სამშენებლო ობიექტი სათანადოდ დამტკიცებულ სატიტულო სიაში არ ირიცხება, როდესაც დარღვეულია დაგეგმვისა, აღნაგობისა, არქიტექტურული გაფორმებისა, სახანძრო და საზოგადოებრივი უშიშროების წესები და როდესაც სამშენებლო სამუშაოები სწარმოებს არაწესიერად;

დ) გადააყენონ მშენებლობის წარმოებისაგან ისეთი პირნი, რომელთაც არა აქვთ სათანადო უფლება;

ე) აღძრან სათანადო წესისამებრ საკითხი იმ საადმინისტრაციო-სატექნიკო პერსონალის პირთა საადმინისტრაციო ან სისხლის სამართლის წესით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის შესაბამისად, პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ვინც დამნაშავე იქნება იმაში, რომ სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებს სათანადოდ დამტკიცებული პროექტის უქონლად ან ისეთი ობიექტისას, რომელიც სატიტულო სიაში არ ირიცხება, ვინც გვერდს აუხვევს დამტკიცებულ პროექტს, ვინც დაარღვევს სამშენებლო წესებს და ნორმებს, და ვინც სამშენებლო მუშაობას აწარმოებს არაწესიერად.

6. სამშენებლო კონტროლში მუშათა მასებისა და საინჟენერო-სატექნიკო მომუშავეების ჩასაბმელად სამშენებლო კონტროლის ორგანოები კავშირს ამყარებენ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და აგრეთვე ხელს უწყობენ პროფესიონალურ ორგანიზაციებს მშენებლობისათვის საზოგადოებრივი კონტროლის გაწევის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სამშენებლო კონტროლის მთავარი სამმართველო ინახება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით, ხოლო ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული სამშენებლო კონტროლის სექტორები—იმ ორგანოების ბიუჯეტით, რომლებთანაც ეს სექტორები არსებობენ.

8. სამშენებლო კონტროლის სექტორთა შტატების პროექტები და აგრეთვე ამ სექტორთა სათავეში მდგომი პირების დანიშვნა და დათხოვნა წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან.

9. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გამოსცეს ინსტრუქციები და მითითებანი ამა დებულების შეფარდების წესის შესახებ.

10. ამა დებულებაში აღნიშნული სამშენებლო კონტროლი არა ვრცელდება თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობაზე.

განათლება

136. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტი ანხორციელებს მეთოდურ და იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას და კონტროლს საბავშვო სათამაშოების შექმნისა და გავრცელებისათვის.

2. აღნიშნული ამოცანების აღსრულებისათვის საბავშვო სათამაშოების საქმეთა კომიტეტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებით (სსრკ-ის კან. კრ. 1934 წ. მე—3 №-ი, მუხ. 29 და 30), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

1) 1928 წ. აპრილის 7-ისა „საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-ი, მუხ. 42);

2) 1932 წ. ივლისის 4-ისა „სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაჭერის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე 20 №-ი, მუხ. 176 და 22 № ი, მუხ. 212).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე**

1934 წ. მაისის 22.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

138. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს “ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 202, 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35), 31 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად: . . . . . .]

„31) სანახაობათა საწარმოს ბუხჰალტერიის მიერ გაცემულ ნუსხას საავტორო ჰონორარზე ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის“.

საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მაისის 22.

ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველბაო 1934 წ. № 49 პ/მ რედაქტორი **მ. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1½ ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბის ნიშანი
გადაეცა სტამბას 5/VI, ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI; ტირაჟი 1.600

მთავლიტი რწმ. ს.—№ 49 საქ. სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1012